

# ლელო

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის საბჭოს ორგანო  
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 148  
(4142)

1970 წ.  
ივლისი.  
30 სთუბათი.  
ფასი 3 კპ.

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
18 აპრილიდან

## მსოფლიო გამაილნახი წინ

უძლიერესი ძაღვები ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 12-20 სექტემბერს ამერიკის ქალაქ კოლუმბუსში გაიმართება.

უნგრეთის ნაკრების მესვერებმა საწვრთნელ შერეობაზე მიიწვიეს ხოლმეტი (52 კგ), ფილოდი (56), ბენდუკი (60), ბაგოჩი (67,5), სარვაში და კ. ხორვატი (75), ბაკოში და გ. ხორვატი (82,5), ტოტი და ნადი (90), ხანსლიკი და ნემეზანი (110).

პოლონელი ათლეტები ბულგარეთის ქალაქ ბურგოსში, შავი ზღვის სანაპიროზე ვარჯიშობენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ იასპარეზონ ბალტიის თასის გათამაშებაში (ნოვოგოდა, 4-9 აგვისტო). ამ შეჯიბრებაში პოლონელები უძლიერეს შემადგენლობას გაგზავნიან. როგორც ჩანს, აქ გამოვა 23 წლის მძიმე წონის ძაღვისანი ზ. კრუშინი, რომელმაც ამას წინათ 500 კგ (170+150+180) დააგროვა.


ნორვეგიაში სასპარეზოდ ფინელი ძაღვები ემზადებიან, მაგრამ მათ დიდი უსიამოვნება შეეხოთ. როგორც ჩანს, ნორვეგიის სპორტული გაზეთი იუწყება, ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიოს, გერმანიისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა კარლო კანგასნიემ მის სული მოიტეხა და, როგორც ჩანს, კოლუმბუსში თავის შიშაღწეულს ვერ დაიკავებს.

ტუნისის ცნობები აშშ-ს, იპონიისა და ირანის ძაღვების მზადების შესახებ. ამ ქვეყნების ათლეტები თითქმის გამაილნახი ნახტომისთვის ემზადებიან. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ცნობა, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ამერიკელმა რ. ბელნარსკიმ შეჯიბრებაში დააგროვა 552,5 კგ (182,5+160+210). ეს შესაძლებელია მსოფლიოს კატეგორიაში საბჭოთა ათლეტების ი. ტალტისა და ვ. იაკუბოვიჩის მარცხის შემდეგ.

ზოგნი შტანგას ეწევიან, ხოლო ზოგიერთნი მეტოქეებზე ფსიქოლოგიურ იერიშს ატარებენ. „600-ანთა კლუბის“ მეორე წევრმა, ბელგიელმა ბიბლიოთეკარმა ს. რედინგმა ფრანგული გაზეთის „ეკიპის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ კოლუმბუსში იგი 220 კგ-ს ატემა, 170 კგ-ს აიტაცებს და 225 კგ-ს აპრავს, რაც სამჭიდში 615 კგ-ს უდრის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა გოლიათის ვ. ალექსეევის მსოფლიო რეკორდი 612,5 კგ-ს უდრის. ასე რომ, კოლუმბუსის ფიცარნავი ბევრ საინტერესოს გვირგვინს.

## მთავრი სალაშქროდ უხამობენ



განგლისის პიონერთა ბანაკი „ციცხარა“... აქ ყველა ბირობა შექმნილი ბავშვების მხიარული და აზრიანი დასვენებისთვის. დღლა მუდამ ფიზიკური ვარჯიშით იწყება. შემდეგ პიონერთა რაზმები მანგლისის ლამაზ შემოგარენში მიდიან დასასვენებლად, მდინარე ალგეთში ბანაობენ, მზეზე ან მშვენიერ ფიჭვნარში ნებივრობენ, თამაშობენ ფრენბურთს, ფეხბურთს, ბადმინტონს. ბანაკში დარჩენილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ჭადრაკში, ფრენბურთში, ჩოგბურთში.

ბავშვების ერთი ნაკადი ბანაკში 28 დღეს ატარებს. პიონერები წარუშლელი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან შინ, რადგან ყოველი დღე დღევანდელია საინტერესო პიონერული საქმეებით, სპორტული ორთაბრძოლებით, ტურისტული ლაშქრობებით.


თბილისელებს ი. დანელიას, ნ. ბურჯუაძის, ძმებს კაჩიანებს, ვაჭირელ შ. სიმონიშვილს და მათს 180-ზე მეტ თანატოლს დიდხანს ემახსოვრებათ ბანაკის საზეიმო გახსნისას აგიზგივებული კოცონი, ექსკურსიები ძველ მონასტერში, არსენას გამოკვებაში, ლაშქრობა ბეთანიში, ბანაკის სპორტკაიდაის სტარტები.

ბანაკის ხელმძღვანელობა თავი არ დაზოგა, რათა პატარებს კარგად დაეხედათ. ამიტომ ბავშვებს დიდხანს გაჰყვებათ პედაგოგ ზ. დალაქიშვილის, პიონერხელმძღვანელების ნ. ბარდნაშვილის, ა. ქავთარაძის, ბანაკის უფროსის — ყოფილი მძღველის რ. ჩუბინიძის პატივისცემა და სიყვარული.

ბ. ძვამაძე.  
(ჩვენი სპეც. კორ.)

სურათებზე: საყვირი ბავშვებს სალაშქროდ უხამობს; უფროს პიონერხელმძღვანელს ნ. ბარდნაშვილს ი. გაგარინის სახელობის რაზმი ფიჭვნარში მიჰყავს; ფეხბურთელთა შეხვედრა.

ავტორის ფოტო.



**68:0**

ლენინაპანი, 29 ივლისი (დღე-ღამე, ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო რეგებისტა საქვერიო ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებისთვის. აქ ასპარეზობენ თბილისისა და ერევანის დინამოელები, ტაშკენტის „ენბეი“ და ალმა-ათის „პოლიტექნიკი“. ლენინაპანის ქვეყნულში ორი უძლიერესი კოლექტივი მიიღეს ფინალური ტურნირის საგზურებს, რომელიც მოგვიანებით ერევანში ჩატარდება. იქ იკა გარკვევა უმაღლესი ლიგის ახალ ბინადართა ვინაობა.

თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქე ალმა-ათის გუნდი გახლდათ. საქართველოს სპორტმენებს პოლიტექნიკოსებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. დინამოელები თავიდანვე ენერგიულად თამაშობდნენ, ინიციატივას პირველივე ტაიმში დაეუფლნენ და საბოლოოდ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 68:0. გუნდის მთავარი ბომბარდირი გახდა ვ. აბაშიძე, რომელმაც კოლექტივს 19 ქულა შესძინა.

ამ დღეს ერევნის „დინამო“ დაამარცხა ტაშკენტის „ენბეი“ — 18:3.

კ. სარაქიძე.

**ლენინაპანი**

**ო. პროკოპენკოსა და  
ი. კავსადის პერსხლი  
ა. მავრევილი პირველია,  
ნ. თხარელი — მეორე**

## სსრ კავშირის თასი... ჭადრაკში

ლენინაპანში, 28 ივლისი. 1 აგვისტოს აქ სტარტს აიღებს სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი (თბილისი), დიდოსტატები დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ა. ზაიცვი (ვლადივოსტოკი), ა. ვიპსისი (რიგა), ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი), ს. ფურმანი (ლენინგრადი) და სხვა ცნობილი მოჭადრაკეები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯემ, საერთაშორისო არბიტრმა ი. როსლინმა საკლესის კორესპონდენტს უამბო:


— კარგა ხანია დაობენ, რომ მოჭადრაკის ქვეყნარტ პრაქტიკულ ძალას უფრო უზუსტად მატჩი (ორთაბრძოლა) ან ტურნირი (წრიული სისტემით) განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებით პირადი შეჯიბრება სსრ კავშირის თასისთვის (აქ მოსალოდნელია 64 მოჭადრაკის მონაწილეობა) საბჭოთა ჭადრაკის ისტორიაში პირველად იწყება განსხვავებული სატურნირო რეგლამენტი.

რეგლამენტი თასის გათამაშებაში საინტერესო ექსპერიმენტია, რომელიც ოლიმპიური და სამატჩო სისტემების ნაერთს წარმოადგენს. ყოველ ოთხ ციკლში მონაწილენი წყვილებად თამაშობენ მატჩებს ოთხ პარტიად. გამარჯვებული გამოვლინდება ოლიმპიური სისტემით (ყოველი ციკლიდან დამარცხებული ეთიშება ბრძოლას). ბოლოს დარჩენილ 8 კაცში გამოვლინდება 4 გამარჯვებული. ამით კიდევ დამატარდება პირველი ეტაპი. თასის პრიზიორები ორ ფინალურ ციკლში (1-13 ოქტომბერი) გამოვლინდებიან.

პირველ ეტაპზე თამაშის მეტად მკაცრი პირობებია დაწესებული. 16 ტური დასვენების დღეების გარეშე ჩატარდება.

**ლენინაპანი**





# პოლარული წრისკენ

შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს „დალზა-გოლდის“ ტურისტული კლუბის „პორიონის“ წევრებმა გადაწყვიტეს დალაშქრონ ციმბირის უვალ ბილიკები. მათი მარშრუტი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება.

ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ინჟინერმა გ. ვიშინსკიმ გამგზავრების წინ თქვა: — ჩვენ განზრახული გვაქვს დავფაროთ 1200 კილომეტრი მთების, ტბების, მდინარეების გავლით. გზის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლომბის მარჯვენა შენაკადზე, მდინარე იმლონზე გადის. შემდეგ დინებას გაუყვებით და ფინში იმლონის შესართავთან გვექნება. პოლარული წრის პირობით ნიშნავთ დავტოვებთ ტრადიციულ ემბლემებს და დაბეჭდილ ბოლოებს, რომლებშიც ჩაღებულ იქნება ბარათები მომავალი თაობებისათვის.

ტურისტ-გემმუნებელთა ჯგუფში 10 კაცია. შორეულ და რთულ გზას დაადგენ ელექტროსი გ. ბიტროვი, მოტორისტი ა. გრიგორივი, ინჟინერი ვ. ბურმაკინი, ხარატი ვ. კამენევი, ლაბორანტი და ჯგუფის ექიმი მ. ბარსუკოვა და სხვ. ყველა მათგანი სპორტსმენია. ლაშქრობის მომზადებას განზრახული აქვთ ამ მოგზაურობაზე ფილმიც გადაიღონ. სხვათა შორის, ტურისტმა განსაკუთრებით პოპულარულია ვლადივოსტოკის გემმუნებელთა შორის. კლუბ „პორიონის“ წევრებს უკვე ოთხ სხვადასხვა სირთულის ლაშქრობა აქვთ ჩატარებული და აქედან ორი ტაფის მდინარეებზე მოაწვეს.

ვლადივოსტოკი.

# ყინულზეა ჩეპიონი


საბჭოთა კავშირის 15-გზის ჩემპიონი ჰოკეიში — ცსკა-ს გუნდი წვრთნას შეუდგა. სხვა კლუბებისგან განსხვავებით, არმიული ჰოკეისტების მეცადინეობა საერთო ფიზიკურ მომზადებაში ყინულზე წვრთნასთანაა შეწყვეტილი. შემდეგ ცსკა-ს გუნდი კუდუცტას გაემგზავრება, სადაც თავის საწვრთნელ ბანზე გააგრძელებს ახალი სეზონისთვის მომზადებას.

ავისტოში ჩემპიონს ესტუმრება შვეიციის კლუბი „მარო“. შემდეგ ცსკა-ს ჰოკეისტები რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ შვეიციაში. სსრ კავშირის პირველობის წინ არმიული სპორტსმენები გაუეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის ტრადიციულ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

რა ცვლილებები მოხდა გუნდის შემადგენლობაში? შეიარაღებული ძალების მთავარ მწვრთნელად ჰოკეიში დანიშნულია ა. ტარასოვი — მწვრთნელი, ვის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა და არმიული ჰოკეის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები. ექვი არ არის, ეს დანიშვნა ხელს შეუწყობს „ა“ და „ბ“ კლასების არმიულთა გუნდების ოსტატობის ზრდას.

ცსკა-ს უფროს მწვრთნელად დანიშნა ბ. კულაგინი, რომელიც 10 წელიწადს მუშაობდა ტარასოვთან ერთად. არმიულ ჰოკეისტთა შორეულ მწვრთნელია კ. ლოქტევი, საბჭოთა ჰოკეის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. გუნდში მიღებული არიან მცველები ვ. სმაგინი („საბი-რი“), ხ. გლუხოვი და ი. ტიურინი (ორივე — „კრილია სოვეტოვი“) და თავდაპირველი ვ. ჩეკალკინი („ავტომობილისტი“). სარბიელი დატოვა ა. იონოვა, რომელიც მწვრთნელად იწყებს მუშაობას.

სურათებზე: ამხანაურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ცსკა I (თეთრ ფორმებში) და ცსკა II. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს მეორე შემადგენლობის სპორტსმენებმა; გუნდის ახალი მწვრთნელი ბ. კულაგინი.



# პირველი ავტობრაჟი საბჭოთა კავშირში

„იგორ ეგოროვი, სსრ კავშირი“, — ასეთია პირველი წარწერა თასზე, რომელიც სათვითმფრინავო სპორტში მსოფლიო ჩემპიონს გადაეცა. როგორც ცნობილია, ამ დღეებში კუბიშეველმა ინჟინერმა ივგლისში მოიპოვა ეს საპატიო წოდება.

და აი, 28 ივლისს შერეგმეტივეოს აერობორტში ზედიზედ დაეშვა „ანთის“ ორი გოლიათი, რომელთაც სამშობლოში ჩამოიყვანეს ეგოროვი, მსოფლიო ჩემპიონატის სხვა საბჭოთა მონაწილენი და... მათი თვითმფრინავები. რამდენიმე კაცმა გადმოიტანა თვითმფრინავიდან დაზღუდებით ერთმეტრიანი ყუთი, რომელიც წლეულს დაწვეს მსოფლიო — არეტის თასი ილო. ეს თასი 90 კგ-ის იწონის. მაგრამ, რასაკვირველია, დამსწრეთა ყურადღების ცენტრში იყვნენ სპორტსმენები და არა მათი ნადავლი. განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონებს — მოსკოველ ს. სავიცკაას და ი. ეგოროვს.

ორივე გმირი ძუნწად, მაგრამ

ამომწურავად იძლეოდა პასუხს ურანლისტთა შეკითხვებზე.

ს. სავიცკაია სულ ორი წელია ვარჯიშობს სათვითმფრინავო სპორტში, მაგრამ მანამდე მეგობრებთან ერთად უკვე მოასწრო სამი მსოფლიო რეკორდის დამყარება პარაშუტით ზტოპში. სხვათა შორის, მფრინავის პროფესია სავიცკაიამ, თუ შეიძლება ითქვას, მემკვიდრეობით მიიღო. იგი დამსახურებული სამხედრო მფრინავის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ავიაციის მარშალ ე. სავიცკის ქალიშვილია.

— რა იყო ყველაზე უჩვეულო? — კითხვას გვიბრუნებს ი. ეგოროვი, — ალბათ, ინვლისის აინდი.

კუბიშეველი ინჟინერი უკვე 13 წელია მსდევს სათვითმფრინავო სპორტს. მას ორი შვილი ჰყავს — ხუთი წლის ანდრეი და ორი წლის კატია. რა პროფესიას აირჩევენ ისინი? „მთავარია, კარგი ადამიანები იყვნენ. თუ ფრენა გაიტაცებთ, მე წინააღმდეგე არ ვიქნები“, — თქვა ჩემპიონმა.

რა გეგმები აქვთ სპორტსმენებს?

ერთ ხანს დასვენებას აპირებენ, შემდეგ კი დაიწყებენ მზადებას მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც საფრანგეთში გაიმართება 1972 წელს. საბჭოთა მფრინავ ვაჟებს გარკვეული ამოცანა აქვთ: სამშობლოში უნდა დააბრუნონ გუნდური გამარჯვებისთვის დაწესებული ჯილდო — ნესტეროვის თასი.

# ხელეთა „ცურვა“

ნორილსკი, 28 ივლისი. შერებობმა „პინგვინმა“, რომელიც ნორილსკიდან ტიქსამდე მოგზაურობს სამი სპორტული საზოგადოების — „ფო-დინის“, „სპარტაკისა“ და „ტრუდის“ აღმზომ, კურსი აიღო დია... ტუნდრაში. ამის შესახებ ნორილსკის დოსაფის რადიო-კლუბს წავიდან აცნობა სპორტის ოსტატმა ა. იანცელევიჩმა.

ჩრდილოეთის მდინარეები მეტისმეტად „მგონობიარნი“ არიან ნალექების შიმართ — ერთ-ორ დღეში მოდიდებიან და მერე ასევე უცებ დაიკლებენ. წლეულს კი ტიპირსკ მშრალი ზაფხულია, ხიცხეიციც დაიკრა. მარის ტემპერატურა 25-30 გრადუსს უღრის. „პინგვინს“ კილი ქვეშ აგერ უკვე ექვსი დღეა ერთ ნანტიმეტრზეც არ ასულა წყალი. სპორტსმენებს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით პანანკება სიცხეში ხელით დააქვთ წავი და დღეში 80 მეტრზე მეტს ვერ გადაიან.

მეგზურობა სოფელ უხტ-ავამის მცხოვრებმა, 70 წლის ი. ერიომინმა აკისრა. წარსულში თავგამოღებული მონადირე და მეთევზე, ახლა კი პენსიონერი მოხუცი კარგად იცნობს მშობლიურ ადგილებს.

მდინარეებში ვაშსა და ვოლოჩანკაში წყლის დონე კიდევ ეცემა. ახლა უკან დაბრუნება კიდევ რომ მოხსურვონ, სპორტსმენებს მდინარე ვაშზე გზა მოჭრილი აქვთ. მაგრამ მათ უკრისი არ შეუცვლიათ — კვლავ წინ მიიწვევენ. მამაც მოგზაურობთან გამუდმებული რადიო-კავშირი აქვთ ნორილსკს, დუ-დინკას, ხანტაიკას, დიკსონს, ჩელიუსკინის კონცხის პოლო-რულ სადგურს. მთელი ტაიშირი დაძაბული ადვენებს თვალს გმირულ ორთაბრძოლას უკიდურესი ჩრდილოეთის ჭირვეულ ბუნებასთან.

3. შინაპარანკო.

# პირველთა ჩემპიონი — ჩეპიონი

ოშსკი. სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების რსფსრ-ს წ. სპარტაკიადამი თათართა ავტონომიური რესპუბლიკის გუნდმა I ადგილი დაიკავა სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდაში. ეს სახეობა, რომელიც პირველად შეიტანეს სპარტაკიადის პროგრამაში, მოითხოვდა არა მარტო სპორტულ ოსტატობას, არამედ საავტომობილო საქმის საუკეთესოდ ცოდნასაც. კარგა მძღველსანამ, ომსკელმა სპორტის ოსტატმა ნ. ჩახლოვმა უნებურად II ადგილზე გადასწია თავისი გუნდი მხოლოდ იმიტომ, რომ ავტომანქანის ფიგურულ მართვაში ნული მიიღო. აქ წაიფორშილა თათართა ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა გოროვატსკიმაც, რომელსაც მრავალჭიდაში სხვა სახეობებში უკვე ვანადებული ჰქონდა ჩემპიონის წოდება. გამარჯვება მოიპოვა ომსკელმა სტუდენტმა, პირველთა ჩემპიონსანამ ე. შეიკინმა.

ნამდვილი გმირობა გამოიჩინა ნოვოსიბირსკელმა ბ. სემიონოვმა. ძრავიანი ნავებით რბოლის დროს იგი სერიოზულად დაშავდა. ექიმებს უნდოდათ იგი საავადმყოფოში გადაეყვანათ, მაგრამ სპორტსმენმა ითხოვა მისთვის ჭრილობა შეეხვიათ, კვლავ გამოვიდა სტარტზე და ჩასათვლელი ქულები მოუტანა თავის გუნდს, რომელმაც I ადგილი დაიკავა წყალსამოტრო სპორტში, ამასთან, სსრ კავშირის მეცხრეებთან აკადემიის ციმბირის განყოფილების ინჟინრებმა ე. შო-ლოხოვმა, ვ. ნიკულინმა და ე. რემენტიკოვმა სისწრაფეშიც ყველას აჯობეს „ოჟ“ და „თა“ კლასის სკუტერებით, აგრეთვე, „კა“ კლასის გლისერით.

საპარაშუტო სპორტში სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს ჩუგავეთის წარმომადგენლებმა, სპორტის ოსტატმა გ. ხაქიმიამ და ხაერთა-მირისოვ კლასის სპორტის ოსტატმა მ. კოსტინამ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ მოსკოვის, როსტოვისა და სვერ-დლოვსკის ოლქების კოლექტივები.

3. ლოკოდა.

# პეტუპოკოვა და სხვები...

სპორტის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი ის დიდი წარმატება, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა გფრ-ის მსოფლიო ჩემპიონატში ცხენის გახედვაში მოიპოვეს. მათ პირველად მოიხვეჭეს ორი ჯილდო: გუნდურ და პირად ჩათვლაში. განსაკუთრებული წარმატებით იასპარეზა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, მოსკოველმა ე. პეტუპოვამ, რომელმაც ყველას აჯობა და ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. სხვებთან ერთად პეტუპოვამ დამარცხა მენიკოს ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, ლენინგრადელი ი. კიზიმო-ვიც.



და აი, ხვალ მოსკოვში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენსნობაში. შემოდასახელებულ სპორტსმენთა გარდა, სარბიულზე გამოვლენ ცნობილი მხედრები ი. სოლოსი, ა. ვედოვიმოვი,

ი. კალიტა, ხ. ბროდსკი, ტ. შემენევა და სხვები.

სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმში იასპარეზებენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც ა. მარვიტო, ე. გამიზა-იაშვი, ვ. კრანინევი, დ. მალანია და სხვ.

ჩემპიონატის პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. გათამაშდება სული დიდი და შვიდი მცირე ოქროს მედალი. შეჯიბრების პროგრამაშია ცხენის გახედ-ნა, დამარკოლებთა გადალახვა და სამჭიდი.

დაძაბული შეჯიბრებები ვლით სსრ კავშირის ოუნორ მხედრებსაც. ისინი 6-10 აგვისტოს შვეიცარიაში იასპარე-ზებენ კონტინენტის პირველობაზე და-ბრტოლებათა გადალახვაში, ხოლო უფ-რო მოგვიანებით დანიში (14-16 აგ-ვისტო) ევროპის ჩემპიონატი გაიმა-რდება სამჭიდიში.



# საქართველოს პიკეტიზი

გამართა ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი გ. სარტანია (ჭუგდიდი).

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ, 22-ე წუთზე, წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა. ბურთი გაიტანა რევაზიშვილმა. მაგრამ გავიდა ცოტა ხანა და გორელითა კარში ხელით თამაშისთვის დაინიშნა პენალტი. ხომიაკოვმა გაჭიკათა ანგარიში — 1:1. მეორე ტაიმში, „იმერეთმა“ შეელო ინიციატივის ხელში ადგება და მატჩის მოგებაც. ხულიგურული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს თერჯოლელი სახელაშვილი.

● ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 5:1. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

სტუდენტთა სრული უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო. „ბახმაროს“ კარში ჯერ კიდევ შეხვედრამდე გავიდა 3 ბურთი, ხოლო შემდგომ — მეოთხეც, აქ ჩოხატაურელთა თავდასხმებმა ცინცაძემ შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა და მალე მანვე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა. საბოლოოდ, თბილისელებმა კიდევ ერთხელ, აიღეს მეტოქის კარი.

ალსანიშნავია კურიოზული ამბავი: არც სტუმრებს და, რაც მთავარია, არც მასპინძლებს არ გააჩნდათ წესიერი, ხარისხიანი ბურთი, რომელიც საჭირო სტანდარტებს შეესაბამება. საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩი ჩატარდა უხარისხო ბურთით (?).

● „ცისკარი“ (სიღნაღი) — „სამცხე“ (აწყური) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

სიღნაღელებმა ვერ გამოიყენეს „სამცხის“ კარში მე-2 წუთზე დაინიშნული პენალტი.

● „მეტალურგი“ (ჭებტაფონი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ლიდერთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია — მატჩს მრავალდღესწრებოდნენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ახლომდებარე რაიონების წარმომადგენლები. ზესტაფონელებმა თავიდანვე შეძლეს ინიციატივის ხელში ადგება. მე-10 წუთზე რკინიგზელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი. მეტრეჭილაძემ შეძლო ამ ბურთის მოგერიება, მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ გაუშვა ცინცაძის მიერ თავით დარტყმული ბურთი.

30-ე წუთზე სამტრედია კარში ისევ ხელით თამაშისთვის მეორე პენალტი დაინიშნა. ცინცაძის დარტყმამ ამჯერად მიზანს მიაღწია — 2:0.

შეხვედრის შემდეგ „ლოკომოტივის“ კარი კიდევ ერთხელ იქნა ადებული, ამჯერად ტორონიძის მიერ.

მატჩის საინტერესო პერიოდები ამით არ ამოწურულა: 65-ე წუთზე დაინიშნა კიდევ ერთი 11-მეტრიანი.

## გათამაშების ცხრილი


### I ჯგუფი

მდგომარეობა 30 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„მეტალურგი“ (ჭებტაფონი)	27	18	5	4	55	32 41
„საქური“ (წაღენჯია)	27	15	8	4	45	22 38
ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბ.)	27	13	10	4	45	23 36
„იმერეთი“ (ცხაქია)	27	15	6	6	46	26 36
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	27	14	7	6	56	28 35
„საბნინო“ (გეგეჭკორი)	27	11	11	5	44	25 33
„ინანი“ (თბილისი)	26	10	13	8	27	18 33
„სინათლე“ (თბილისი)	26	11	8	7	38	26 30
„სამცხე“ (აწყური)	27	8	13	6	24	24 29
„ფიშპარი“ (წულაძე)	27	11	7	9	34	41 29
„მზური“ (გალი)	26	7	13	6	30	27 27
„მარტვი“ (გორის რაიონი)	27	8	10	9	36	35 26
„პარკეთილი“ (გარდაბანი)	27	7	11	9	28	31 25
ბსპ (თბილისი)	27	9	5	18	27	37 23
„იმერეთი“ (თერჯოლა)	26	6	10	10	30	29 22
„მინანტი“ (ლათურთი)	26	5	11	10	26	40 21
„მეზური“ (ჭუგდიდი)	27	5	10	10	20	31 20
„ცისკარი“ (სიღნაღი)	27	5	10	12	18	30 20
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	27	4	12	11	27	49 20
„მალარიალი“ (ჭიათურა)	26	4	8	14	31	51 16
„მუხანაბლი“ (ბორჯომი)	26	3	6	17	19	44 12
„მეხნატი“ (ახალციხე)	26	3	6	17	25	62 12

აფხაზეთში მოტოპურთის დანერგვის მიზნით „დინამოს“ საბჭოს თაონობით გაიმართა პირველი საჩვენებელი მატჩი. სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე ითამაშეს სტავროპოლის მხარის „ლოჩისა“ და ზეუნოკუმსკის „მოლონიას“ კოლექტივებმა. საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრდა „მოლონიას“ გამარჯვებით — 6:8. კვირას ამ გუნდების მეორე შეხვედრა ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე მოეწყო.

სურათზე: სოხუმში გამართული შეჯიბრების მომენტი. გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.



## 204

● ტალინი, 29 ივლისი. ადგილობრივ „დინამოს“ კორტებზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ, მოსალოდნელია მ. შოროზოვამ ორი გამარჯვება იშვიოს. ჯერ მან ტ. პარმასთან (ტალინი) ერთად ქალთა წყვილების ფინალურ მატჩში

# საქართველი

● ტალინი, 28 ივლისი. ერთსაათიანი სალიდერო ველობრძოლაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მეხუთედ მოიხვეჭა არმიელმა მ. მარკოვმა. მაგრამ ყველაზე დიდი ტაში ხვდა მ. ჯაიციუს, რომელმაც თავის მოტოციკლზე 18-ქერი მიიყვანა ოქროს ფინიშთან კოლეგები. მარკოვმა და ჯაიციუსმა ადგილობრივ ტრეკზე საათში ზუსტად 71 კილომეტრი დაფარეს. ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ თბილისელი მობოლელები, ასევე არმიელმა ო. პარკოპენკო და ლიდერი ი. კავსაძე. ბრინჯაო ხვდა ნ. კობეჯვა და ლიდერ ლ. სტრელცინს.

● მოსკოვი, 28 ივლისი. სამჭოთა მძლეოსნები ვაცხოველებით ემზადებიან იუნორთა I ვეროპული ჩემპიონატისთვის, რომელიც სექტემბერში გაიმართება პარიზში. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობას დღეს აქ გახსნილი საკავშირო ახალგაზრდული პრეზენტის შედეგები განსაზღვრავს. ასპარეზობის პირველ დღეს 100 მეტრზე რბენაში მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები: ვაჟთა შორის გამარჯვა ა. კორნელიუკმა — 10,3 წამი (ასეთივე დრო ჰქონდა მ. იზმესტივს), ქალებში ჩემპიონი გახდა ნ. მესუამინია — 11,6 წამი. 100 მეტრზე თარჯინებში ყველას აჯობა ლ. კულაევამ — 14,0.

● ხარკოვი, 28 ივლისი. ადგილობრივ „დინამოს“ აუზზე დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში. ბოლო დღეს გამოვლინდნენ კომპლან ხტომაში გამარჯვებულნი. 10-მეტრიანი სიმალიდან ხტომის უმაღლესი კლასი გვიჩვენა 18 წლის ალბაიბოვა გ. ტომენკომ, რომელიც პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ნიჭიერი ჭაბუკი წინასწარი სერიების შემდეგ მხოლოდ მეათე იყო, მაგრამ უკვე ნახევარფინალში ლიდერობა იგდო ხელი. გამარჯვებულმა 168,19 ქულა დააგროვა. წლებიდან წელი ტომენკოსთვის მარტოა ბედნიერი გამოდგა: მან მოიგო თითქმის ყველა დიდი შეჯიბრება, სულ ახლახან კი I ადგილი დაიკავა ლიბცივე გლრისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელთა მატჩში. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 20 წლის სარატოველმა გ. ნარიშკინმა (160,34 ქულა), ხოლო ბრინჯაო — მისმა თანაქალაქელმა და თანატოლმა მ. მინაილინმა (158,04). ქალთა შორისაც ახალი ჩემპიონია: ქვეყნის უძლიერესი მხტომელის სახელი მოიხვეჭა გოლტსკელმა მეთათკასელმა ა. ხელინამ. იუნორთა შორის ვეროპის ჩემპიონმა სსრ კავშირის პირველობაში შარშან მიათვებულნი, ბრინჯაო ახლა ოქროზე „გადაახურდა“ — 115,34 ქულა დააგროვა. II ადგილზე 22 წლის ლენინგრადელი ნ. პასტუშკოვა (110,69), III — კიეველი თ. სარქისოვა (106,19).

● ტამბოვი, 28 ივლისი. სპორტის ოსტატის ი. სავეინის ანგარიშზე ახლა 6000 ნახტომია პარაშუტით. თავისი საიუბილეო, მე-6000 ნახტომი ცნობილმა პარაშუტისტმა დღეს აქ განასხორციელა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სავეინმა მსოფლიოში პირველად გადარა ჯერ 4000 ნახტომის ზღვარი, მერე 5000-სა და, ბოლოს, 6 ათასსაც მიაღწია. საერთო ჯამში სპორტსმენმა პარაშუტის გუმბათის ქვეშ დაახლოებით 30 დღე-ღამე გაატარა — ამ ხნის განმავლობაში 14 ათასი კილომეტრი იფრინა. სავეინი 30 ტიპის თვითმფრინავებიდან გადმოიხტარა და 42 ტიპის პარაშუტი შეუმოწმებია. მას თვითმფრინავი სტრატოსფეროშიც დაუტოვებია და ზღვრულად პატარა სიმაღლეზეც. მას არაერთი შესწორება აქვს შეტანილი საკავშირო რეკორდების ცხრილში, ზუსტად დაშვებაში ქვეყნის ჩემპიონიც იყო. მის აღზრდილთა შორის ბევრია სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი... სავეინი 57 წლისაა, მაგრამ ჭაბუკური ენერჯითაა აღსაყვ და საპარაშუტის სპორტს კვლავაც თავგამოდებით ემსახურება.

● კაშანსი, 28 ივლისი. მდინარე ნემანის ლამაზი სანაპირო დღეს სროლის ხმამ აახშურა: მონადირეთა და მეთევზეთა სროვადობების ტირისი დაიწყო 31-ე საკავშირო ჩემპიონატი. სასტენოდ სსრ-ში. შეჯიბრების 170-ზე მეტ მონაწილეს შორის არიან ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორი, მოსკოველი, პ. სენიჩევი, მსოფლიო ჩემპიონი, სვედლოვსკელი ი. ცურანოვი, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ბეტროვი, მსოფლიო ჩემპიონი ლარისა გურგოვი, ვეროპის ჩემპიონი ვ. ლენტირა გერასინა, იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული, ომსკელი ნ. ბენევი. შეჯიბრება 2 აგვისტომდე გაგრძელდება.

● რიბა, 28 ივლისი. აქ მიმდინარეობს ფრენბურთულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. დღეს სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა სამ პარტიში სძლია რუმინულ სპორტსმენებს — 16:14, 15:6, 15:6. პოლინელებმა ასევე „მშრალი“ ანგარიშით დამარცხეს სსრ კავშირის იუნორები.

ჩოგის დუბეც და ვაჟთა წყვილებში I ადგილი თ. ლეიუსსა (ტალინი) და კოროტკოვს ხვდათ.

## კავშირი

## ჩემპიონები

მოსკოვი, 29 ივლისი. იუნორ მძლეოსანთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში დღეს დიდ წარმატებას მიაღწია ლენინგრადელმა სტუდენტმა, 20 წლის მ. ნიკოფოროვამ. 200 მეტრზე თარჯინებში მან ერთბაშად ორი ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 20,6 წამი. მოზრდილთა შორის 0,1 წამით გაუმჯობესა რ. ბაბიჩის უწინდელი რეკორდი, ხოლო 0,8 წამით — თავისივე ძველი მიღწევა იუნორთა შორის.

## რედაქტორი მ. პაპაბაძე

„ლოკომოტივის“ სტადიონის დირექტორი აცხადებს, რომ I აპრილისთვის სტადიონზე სამსოფლიო და უფროსი ასაკის მამაკაცთაშორის ინსტაბა ბა-მაკანასაბაშვილი ჯგუფში — „რანა მინოლოდ ჯანმრთელობისთვის“.

მეცადინეობა ჩატარდება გამოცდილი მწვრთნელების დამარტებით. დასეპიო ფიჭულტურის დისპანსერის მეთვალყურეობით, კვირის სამჯერ დილისა და საღამოს საათებში.

პირობების გაგება მსურველებს შეუძლიათ სტადიონის დირექტორს (სასწავლო-სპორტული განყოფილება) ყოველდღე (გარდა კვირისა) 9-დან 12 საათამდე.

მისამართი: ქვეყნის პრ. № 74. ტელეფონი 22-11-89. ღირამცია.

## მშვიდილი სპორტული ხელოვნება

ვახუშტის „ისნის“ სტადიონი. 2 აგვისტო. საქართველოს პირველობა. „ისანი“ (თბილისი) — „სქური“ (წაღენჯია). დასაწყისი 18 ს.

საქართველოს ფიჭულტურისა და სპორტის კომიტეტი, კლასიკური და თავისუფალი ჭიკოლობის, სამბოს რესპუბლიკური ფედერაციები იწყებენ, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი მიხეილ ხესარიონის ძე გოგავა დაკარგა 2 აგვისტოს, წულუკიძეში.